თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №9

თბილისი, 24 ოქტომბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;
- ალექსი ბატიაშვილი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ლაშა პიტნავა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – სათამაშო ბიზნესის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი;

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- ანნა მელიქიანი – OSCE/ODIHR;
- თაია არაბული – თარჯიმანი/თანაშემწე (OSCE/ODIHR);

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- ალექსანდრე ახალკაცი – ა(ა)იპ „ახალგაზრდები ახალგაზრდობისა და მომავლისათვის“;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- გივი მიქანაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
- არჩილ გორდულაძე – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ;
3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის შესაბამისად, მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ პირველ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა კენჭისყრის დღეს პრეზიდენტის რეზიდენციაში საკოორდინაციო პლატფორმის მოწყობის საკითხს, კომისიის მდივანმა, ქალბატონმა მანანა ბეგიაშვილმა, განაცხადა, რომ უწყებათაშორისი კომისიის სახელით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიგზავნა მეორე წერილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის კომისიის სხდომაზე დასწრებისა და პრეზიდენტის განცხადებასთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთების თაობაზე. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან წარმომადგენელი არ დაესწრებოდა კომისიის სხდომას.

ბატონმა რატიმ მწუხარება გამოთქვა პრეზიდენტის ადმინისტრაციის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, პრეზიდენტის განცხადება შესაძლოა, ნამდვილად შეიცავდეს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას და ცალსახაა, რომ არსებობს გარკვეული რისკები; პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხი ნამდვილად არ არის არც ამომწურავი და არც დამაკმაყოფილებელი. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია დააკვირდება პროცესებს (რამდენადაც უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა გრძელდება ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგის გამოცხადებამდე), თუ რას მოიმოქმედებს პრეზიდენტის ადმინისტრაცია არჩევნების დღეს, ექნება თუ არა ადგილი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და საჭიროების შემთხვევაში მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ქალბატონი ანა წითლიძის განცხადებას ზუგდიდში, სენაკსა და სოფელ ოქტომბერში პირადობის მოწმობების ჩამორთმევის საკითხს, სიტყვა გადაეცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს.

ბატონმა ალექსანდრემ აღნიშნა, რომ ქალბატონი ანა წითლიძის განცხადებაში კონკრეტული ფაქტები არ იყო მოცემული; შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან შესაბამის დანაყოფებში მოძიებულ იქნა, თუ ფიქსირდებოდა მსგავსი ფაქტების შესახებ რაიმე ინფორმაცია, თუმცა, მსგავსს ადგილი არ ჰქონია; შესაბამისად, კონკრეტული გარემოებების წარმოდგენის შემთხვევაში, კონკრეტულად ვისზე განხორციელდა იძულება პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო მზადაა, განახორციელოს შესაბამისი რეაგირება.

იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა აჭარაში სააგიტაციო მასალის გაკვრაში ხელშეშლას, ბატონმა ალექსანდრემ განაცხადა, რომ არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა რეალურად არსებულ გარემოებას; შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებულია გამოძიება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო ბანერის დაზიანების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას. 2024 წლის 16 ოქტომბერს ხელვაჩაურის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება, კერძოდ, აღმოჩნდა, რომ კონკრეტული პირები აზიანებდნენ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ბილბორდებს; სახეზეა შესაბამისი თვითმხილველი, რომელმაც შენიშნა, რომ სჩადიოდნენ მსგავს ქმედებას, ასევე, იყენებდნენ ავტომობილს, რომლითაც გადაადგილდებოდნენ, და მასობრივად ხდებოდა ბილბორდების დაზიანება. სწორედ ამიტომ, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ამოღებულ იქნა ზემოაღნიშნული ავტომობილი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმართა სასამართლოს განხორციელებული ღონისძიებების კანონიერების შემოწმების მიზნით; სასამართლომ გაიზიარა სამინისტროს პოზიცია და ზემოხსენებული ამოღება განხორციელდა კანონის სრული დაცვით; გარდა ამისა, ავტომობილის მესაკუთრე პირებს ეთხოვათ გამოკითხვაზე გამოცხადება, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეესწავლა კონკრეტული გარემოებები, თუმცა, ისინი კატეგორიულად წინააღმდეგი არიან და აცხადებენ, რომ მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოადგენენ ჩვენებას, ამასთან, უარს აცხადებენ მათი თანდასწრებით მანქანის დათვალიერებაზე. ეტაპობრივად მიმდინარეობს გამოძიება, ხდება ვიდეოჩანაწერების ამოღება და შემსწრე პირების გამოკითხვა; დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები და, აქედან გამომდინარე, შემაჯამებელი გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

ბილბორდების დაზიანების საკითხს გამოეხმაურა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენელი, ბატონი არჩილ გორდულაძე. ბატონმა არჩილმა დაადასტურა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. მისი თქმით, დაზიანდა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ 3-დან 2 ბილბორდი. თვითმხილველთა თქმით, გადაადგილდებოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მანქანა საარჩევნო ნომრით, რომელშიც იჯდა 4 პირი, ამათგან ერთ-ერთი არის საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობიდან“. თავიანთი შესაძლო დანაშაულის დაფარვისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით ისინი შეეცადნენ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიება წარმოეჩინათ როგორც მათ წინააღმდეგ აგიტაციაში ხელის შეშლა; რეალურად საქმე პირიქითაა, როდესაც „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ბანერი დაზიანდა და სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, რადგან ამ ბანერის განთავსების ღირებულება იყო 150 ლარზე ბევრად მეტი, რაც დეკლარირებულია, წარდგენილია და შესაბამისი სამსახურის საიტზეც გამოქვეყნებულია.

პირადობის მოწმობების ჩამორთმევის საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ბატონმა დანიელ დავითაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე). როგორც მან აღნიშნა, მსგავსი ბრალდებები არ შეესაბამება სიმართლეს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები სხვას აბრალებენ იმას, რასაც თვითონ აკეთებდნენ წლების განმავლობაში.

ბატონი დანიელის მსგავსი პოზიცია დააფიქსირა ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ თავმჯდომარემ, ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ შემდგომ ინფორმაციასთან დაკავშირებით (1. ქარელში გზების მოხრეშვა და ამით ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვა; 2. ქობულეთში პედაგოგებისთვის ვაუჩერების გადაცემა და ამით ამომრჩეველთა შესაძლო მოსყიდვა; 3. ხარაგაულის მერის მიერ ადგილობრივი მედიის წარმომადგენლების „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო შეხვედრაზე არშეშვება; 4. რუსთავში დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ადმინისტრაციის მიერ მეეზოვეებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევა და ამგვარად ამომრჩეველზე შესაძლო ზეწოლა; 5. ზუგდიდის საკრებულოს წევრების მიერ პირადობის მოწმობების ჩამორთმევა; 6. ზუგდიდის სოფელ დარჩელის საბავშვო ბაღის გამგის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება) სიტყვა გადაეცა ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი).

ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის შემთხვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციაში მოხსენიებულია სოფელი წაღვლი, რომელიც არა ქარელის, არამედ ხაშურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. ხაშურის მუნიციპალიტეტში, ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, ყოველწლიურად მოქმედებს შიდა სასოფლო გზების მოვლა-შენახვის პროგრამები, რომლებითაც გათვალისწინებულია მოხრეშვა, თოვლისგან გაწმენდა, მოსწორება, გრუნტის მოჭრა-გატანა და ა.შ. ამ პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წლის სექტემბერ-

ოქტომბერში სოფელ წაღვლიდან სოფელ აბასის მიმართულებით შესრულდა მოხრეშვის სამუშაოები. ეს გზა აკავშირებს ხაშურს ქარელთან და არამარტო მასთან. შესაბამისად, ამ გზის გასწვრივ მცხოვრები სამასივე მოქალაქე სარგებლობს ამ გზით, რომლის მოპირკეთებაც ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე 2023 წლის დეკემბერს დამტკიცებულ ბიუჯეტში ჰქონდა გაწერილი ხაშურის მუნიციპალიტეტს. აქედან გამომდინარე, საარჩევნო კოდექსის დარღვევაზე საუბარი ზედმეტია.

ქობულეთში პედაგოგებისთვის ვაუჩერების გადაცემის შესახებ ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, და არამხოლოდ იქ, წლის ბოლოს, როგორც წესი, ოქტომბერში ტარდება პედაგოგის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და მასწავლებელთა კონფერენცია. ამ კონფერენციის შემდეგ იმართება ხოლმე მასწავლებლების დაჯილდოება სხვადასხვა ნომინაციაში. ქობულეთის შემთხვევაშიც, 2023 წლის დეკემბერში დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო გამარჯვებული პედაგოგების დაჯილდოების ხარჯები (ეს ხდება ყოველწლიურად). შესაბამისად, ყველა მასწავლებელი არ დაჯილდოებულა – დაჯილდოვდნენ მხოლოდ გამარჯვებულები, რომელთაც კონფერენციის შემდეგ გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

ხარაგაულის მერის მიერ ადგილობრივი მედიის წარმომადგენლების „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო შეხვედრაზე არშეშვებასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ 2024 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ღონისძიება. კანონმდებლობის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება. ღონისძიება დაიგეგმა 16 ოქტომბრის 18.00 საათიდან. მოულოდნელად გამოჩენილ ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლებსა („ჩემი ხარაგაული“) და მუნიციპალიტეტის მერს შორის კომუნიკაცია შედგა და მოსულ პირებს განემარტათ, რომ ღონისძიება გათვალისწინებული იყო პერსონალურად მოწვეული პირებისთვის. რადგან ამ ღონისძიების შესახებ საჯარო განცხადება არ გაკეთებულა, შესაბამისად, არც მედიასაშუალებები იყვნენ მოწვეულნი. შეხვედრის შემდეგ, შეპირებისამებრ, მედიას ინტერვიუ მისცა ბატონმა პაატა კვიჟინაძემ, რომელიც კანდიდატია და მოსახლეობას ხვდებოდა ამ შეხვედრაზე. აქედან გამომდინარე, ინციდენტი ამით ამოიწურა. საარჩევნო კოდექსის მიზნებისთვის მუნიციპალიტეტის მერი წარმოადგენს პოლიტიკურ თანამდებობის პირს და მას შეეძლო ამ ღონისძიებაზე დასწრება, მით უმეტეს, 18.00 საათის შემდეგ.

რუსთავში დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის ადმინისტრაციის მიერ მეეზოვეებისთვის პირადობის მოწმობების ჩამორთმევის თაობაზე ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ ინფორმაციაში

ნახსენებ პირთა უმეტესობა მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრში“ არ მუშაობს; ამ შემთხვევაში, საუბარია ორ პირზე ზემოაღნიშნული ა(ა)იპ-დან. როგორც წესი, ა(ა)იპ „რუსთავსერვის ცენტრში“ მეეზოვის ფუნქცია-მოვალეობების შემსრულებელ პირებთან ფორმდება ერთწლიანი ხელშეკრულებები. ამ ვადის გასვლის შემდგომ ხელშეკრულებები განახლებადია. ორი თანამშრომელი წინა დღეებში იყო მისული ხელშეკრულების გასაგრძელებლად ხელმძღვანელთან ერთად. ამ დროს, ჩვეულებისამებრ, ადამიანური რესურსების სამსახურთან ხდება ხოლმე დოკუმენტაციის ხელახლა წარდგენა. სწორედ ამ მიზნით იყო ეს ორი პირი მისული სამსახურში. პირადობის მოწმობების ჩამორთმევას ადგილი არ ჰქონია; რუსთავის მუნიციპალიტეტის მხრიდან წარმოდგენილია როგორც სამსახურის ხელმძღვანელის, ისე ზემომითითებული თანამშრომლების ახსნა-განმარტება, რომელთა აღწერითაც, ხელშეკრულებას ვადა ეწურებოდა, მომდევნო თვე ახლოვდებოდა და ხელფასის ასაღებად საჭირო იყო ხელშეკრულების განახლება.

ზუგდიდის საკრებულოს წევრების მიერ პირადობის მოწმობების ჩამორთმევასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ დევნილებთან შეხვედრაში მონაწილეობდა ზუგდიდის საკრებულოს ორი წევრი, რომლებიც საარჩევნო კოდექსის მიზნებისთვის არიან თანამდებობის პირები და მათ ამ შეხვედრაზე მისვლა შეეძლოთ. საუბარი შეეხო სოციალურ პრობლემებს, საჭიროებებს და ა.შ. ეს იყო რიგითი პარტიული შეხვედრა იმ პირების მონაწილეობით, რომლებსაც კანონით ამის შესაძლებლობა ჰქონდათ; სხვა საჯარო მოხელე არც ბრალდებაში და არც კადრებში არ ფიქსირდება.

ზუგდიდის სოფელ დარჩელის საბავშვო ბაღის გამგის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შესახებ ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ სიუჟეტში დასახელებული პირი არ არის სოფელ დარჩელის საბავშვო ბაღის გამგე – იგი, უბრალოდ, ასრულებდა ბაღის გამგის მოვალეობას გამგის არყოფნის გამო. თავად ბაღის გამგე რამდენიმე თვე ჯერ იყო საავადმყოფო ფურცელზე ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამო, შემდეგ უკვე 30 სექტემბრამდე იმყოფებოდა უხელფასო შვებულებაში და ამის შემდეგ სამსახურში დაბრუნდა. შესაბამისად, ინფორმაციაში დასახელებული ქალბატონი, უბრალოდ, თავის პოზიციას (მუსიკის მასწავლებელი) დაუბრუნდა და დღესაც მუსიკის მასწავლებლად აგრძელებს მუშაობას.

მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა თამარ კორძაიას მიერ ბრიფინგზე გაკეთებულ განცხადებას (თავშესაფარში 31 მოხუცებულს ჩამოართვეს პირადობის მოწმობები), შესაბამისი კომენტარი მიეწოდა კომისიის სამდივნოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროსგან. კომისიის მდივანმა, ქალბატონმა მანანა ბეგიაშვილმა კომისიას წარუდგინა შემდეგი ინფორმაცია:

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში მდებარე სათემო ორგანიზაცია „ბროწლიანის სათნოების სახლი“ ამჟამად ემსახურება 24 ბენეფიციარს. სათემო ორგანიზაცია „ხანდაზმულთა სავანე ბეთელი“ მდებარეობს ქ. წნორში, აღმაშენებლის ქ. 65-ში. ორგანიზაცია დარეგისტრირებულია 24 ბენეფიციარზე. ამჟამად იქ იმყოფება 19 ბენეფიციარი. სათემო ორგანიზაცია „წნორის სათნოების სახლი სავანე“ მდებარეობს ქ. წნორში, აღმაშენებლის I შეს. №4. ორგანიზაცია დარეგისტრირებულია 12 ხანდაზმულ ბენეფიციარზე. ამჟამად იქ იმყოფება 12 ბენეფიციარი. სამივე ორგანიზაცია არის სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთვის“ მომსახურების მიმწოდებელი (პროვაიდერი). დაწესებულებების ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ როგორც დაწესებულებების პერსონალს, ისე ბენეფიციარებს, ადგილზე აქვთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ამასთან, აღნიშნულ პროგრამაში ჩართული ყველა პროვაიდერი გაფრთხილებულია, რომ ამგვარი და მსგავსი ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს პირთა პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს და მათი გადაცემა მესამე პირთათვის დაუშვებელია.

დღის წესრიგის შესაბამისად, სიტყვა გადაეცა ბატონ გიორგი სანტურიანს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი), რომელმაც ისაუბრა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე, კერძოდ, „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობის“ წევრის გორის საოლქო საარჩევნო კომისიის საჩივრის განხილვის შესახებ. ბატონი გიორგის თქმით, გორის საოლქო საარჩევნო კომისიას ნამდვილად წარედგინა შესაბამისი საჩივარი, რომლითაც მოთხოვნილი იყო აგიტაციის წესების დარღვევის გამო სამართალდარღვევის ოქმის შედგენა. თუმცა, განხილვის შედეგად არ დადგინდა დარღვევა, რადგანაც იმ პერიოდში, როდესაც სააგიტაციო შინაარსის მასალა იყო გაზიარებული სოციალური ქსელის გამოყენებით, შესაბამისი საოლქო კომისიის წევრის უფლებამოსილება შეწყვეტილი იყო. აქედან გამომდინარე, დარღვევა არ დადასტურდა და, მით უმეტეს, გაურკვეველია, პოლიტიკური ნიშნით ან პოლიტიკურად მოტივირებულ განხილვას რატომ უწოდებს შესაბამისი პირი აღნიშნულ საკითხს. საჩივარი განხილულ იქნა პროცედურების დაცვით.

სიტყვა გადაეცა ბატონ გივი მიქანაძეს („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“). მან ისაუბრა ხელოვნურად გავრცელებულ ცრუ ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა პირადობის მოწმობების ჩამორთმევას „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. მისი თქმით, არცერთი არგუმენტი

არ იქნა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, შესაბამის უწყებებს ვერც ექნებოდათ საფუძველი, რაიმე კონკრეტული მოქმედებები დაეწყოთ. მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები ეყრდნობიან გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას და არ არსებობს კონკრეტიკა და ფაქტობრივი მასალა. ამასთან, თამარ კორძაიამ თავისავე განცხადებაში განაცხადა, რომ ვერ დაასახელებდა იმ პირთა ვინაობას, ვინც დაკავშირებულია პირადობის მოწმობების მოთხოვნასთან. ლონდა თოლორაიას განცხადებაშიც იყო საუბარი იმაზე, რომ აღნიშნულ ფაქტებს ადგილი აქვს და შესაბამისმა სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამოიძიონ. თუმცა, ბატონი გივის თქმით, არ არსებობს კონკრეტული ფაქტები და პირები, რაზეც შეიძლება გამოძიების დაწყება და საქმე ეხება დეზინფორმაციის გავრცელებას. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ეს არის მიზანმიმართული დეზინფორმაციული კამპანია, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოებაში, მათ შორის, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში შექმნან განცდები, რომ თითქოს წინასაარჩევნოდ მიმდინარეობს პირადობის მოწმობების ჩამორთმევა და მასობრივად ზეწოლა ამომრჩეველზე, რასაც რეალურად ადგილი არ აქვს. ბატონი გივის თქმით, ქალაქ ზუგდიდში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ყოფილმა აქტივისტმა განაცხადა, რომ თავად „ერთიანობა – ნაციონალური მოძრაობა“ ახდენს პირადობის მოწმობების ჩამორთმევას და ცდილობს, საზოგადოებას აჩვენოს, თითქოს ამას ახორციელებენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები. ბატონმა გივიმ თხოვნით მიმართა კომისიის წევრებს განცხადების გაკეთებასთან დაკავშირებით, რომ მიუღებელია მსგავსი დეზინფორმაციული კამპანიის წარმოება, თუკი არ არსებობს რაიმე კონკრეტული ფაქტი და მტკიცებულება, რაც მიზანმიმართულად აზიანებს წინასაარჩევნო გარემოს. ამ ყველაფერმა შესაძლოა, შექმნას საზოგადოებასა და საერთაშორისო დამკვირვებლებში არასწორი აღქმა და განწყობა.

დამატებით, ბატონმა გივიმ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან ადგილი აქვს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას. ძალიან მრავლისმეტყველია პრეზიდენტის ადმინისტრაციის უარი, დასწრებოდნენ სხდომას და გაეკეთებინათ კომენტარი. რეალურად, არაერთი განცხადება გაკეთდა სალომე ზურაბიშვილის მხრიდან, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ მას ნეიტრალიტეტის კომპონენტი დაკარგული აქვს და იმ ფუნქციურ დატვირთვას, რაც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული, დიდი ხანია გასცდა. თუმცა, ის თავისი განცხადებებით და მოქმედებებით საზოგადოებას აჩვენებს, რომ მისი მხრიდან ხდება ადმინისტრაციული რესურსის კანონდარღვევით გამოყენება. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წინასაარჩევნოდ ოპოზიციური პარტიების მიწვევა რეზიდენციაში და მათთვის გაერთიანების შეთავაზება, ან, თუნდაც, 26 ოქტომბერს ოპოზიციური შტაბის მოწყობა ორბელიანის

რეზიდენციაში. ბატონმა გივიმ კომისიას მიმართა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაკეთდეს განცხადება კომისიის მანდატის ფარგლებში. მისი თქმით, საერთაშორისო პარტიებმა უნდა იცოდნენ საქართველოს პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტის შესახებ. ამ ფაქტს არ ეხება არცერთი ადგილობრივი სადამკვირვებლო მისია, ვინც შუალედურ ანგარიშებს აქვეყნებს. გარდა ამისა, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ წარმოებული ათეულობით დარღვევიდან წინასაარჩევნო პერიოდში მხოლოდ ერთეულებია ასახული იმ ანგარიშებში, რომლებიც ქვეყნდება, მაშინ, როდესაც, „ქართული ოცნების“ მხრიდან მუდმივად ცხადდება სხვადასხვა გზით. მომხსენებლის თქმით, 2 დღით ადრე „ქართული ოცნების“ მხრიდან ბრიფინგზე აღინიშნა საჯარო წყაროებზე დაყრდნობით კვლევის შედეგი, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული 102 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან 37 არის პირდაპირ კავშირში 12 პოლიტიკურ ოპოზიციურ სუბიექტთან, 27 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ბოლო 9 წელიწადში 800 000 ლარამდე აქვს შეწირული პოლიტიკური პარტიებისთვის და 16 ორგანიზაცია საჯაროდ ეწევა მმართველი გუნდის საწინააღმდეგო პროპაგანდას, რაც ადასტურებს იმ მოცემულობას, რომ 102 სადამკვირვებლო ადგილობრივი ორგანიზაციიდან 53 პირდაპირ მოქმედებს მმართველი გუნდის საწინააღმდეგოდ. ამგვარი ორგანიზაციების მიერ გაკეთებული განცხადებები და წარმოდგენილი ინფორმაცია, განსაკუთრებით, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის სანდოობას მოკლებულია და ისინი არ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რადგან სუბიექტურია. ბატონი გივის თქმით, აღნიშნული მოცემულობა საკმაოდ შემაშფოთებელია.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე) აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა საკმაოდ მასშტაბურ შეკრებას, დაახლოებით, 500 000 მომხრე ესწრებოდა; მან პრეზიდენტის საქმიანობაზე კომენტარში მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში როგორც ოპოზიციური პარტიების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები იკრიბებიან და ატარებენ ყრილობებს, რაც დაუშვებელია; აღნიშნა ისიც, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები წინასწარ ადგენენ საჩივრებს და ამით მოხდება ზეწოლა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე, ასევე, წინასწარაა განსაზღვრული პროვოკაციების სქემა, რისთვისაც საჭირო იქნება შესაბამისი სამსახურების მობილიზება და სიტუაციის განეიტრალება. მომხსენებლის თქმით, მნიშვნელოვანია, საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა სწორი შეფასებები გააკეთონ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით – რატომ არ ესწრებიან ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები უწყებათაშორისი კომისიის სხდომას.

სხდომის დასასრულ, ბატონმა რატიმ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და მოწვეულ პირებს ჩართულობისა და მუშაობისთვის. მისი თქმით, კომისია საქმიანობას ჯერ არ ასრულებს და, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, გრძელდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კომისიის არცერთ სხდომას არ დასწრებიან იმ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ამომრჩევლებს დახვდებათ საარჩევნო ბიულეტენზე. ასევე, კეთდებოდა საკმაოდ ბევრი განცხადება, რაზეც ყველა სახელმწიფო უწყებამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება და თუ ადამიანი ნამდვილად დაინტერესებულია წამოჭრილი საკითხით, ამისთვის საუკეთესო პლატფორმაა უწყებათშორისი კომისიის სხდომა, სადაც ყველა პასუხისმგებელი პირი იკრიბება და საუბრობს საკუთარი უწყების სახელით. ეს არის სწორედ ის კომისია, რომლის მიზანია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია, დარღვევის შემთხვევაში მასზე სათანადო რეაგირება. შესაბამისად, ეს არის ერთადერთი კანონიერი პლატფორმა, სადაც შესაძლებელია ყველა საკითხის დასმა იმ მიზნით, რომ არჩევნები ჩატარდეს თავისუფლად და სამართლიანად.

ბატონი რატი შეეხო ბატონი გივი მიქანაძის მოწოდებასა და აღნიშნა, რომ შესაძლოა, როგორც ცალკე, ისე ანგარიშშიც ასახვა, რომელიც, კომისიის მანდატის გათვალისწინებით, დაცლილი იქნება პოლიტიკური შინაარსისგან და მოუწოდებს ყველას, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც შეიძლება ეხებოდეს საარჩევნო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევას, გამყარებული იყოს შესაბამისი ფაქტებით და ითანამშრომლონ უწყებათაშორის კომისიასთან.

კომისიის თავმჯდომარე:		რატი ბრეგაძე
კომისიის მდივანი:		მანანა ბეგიაშვილი